ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3148119

ნომერი: AR1481418

თარიღი : 11.03.2017

გაცემის თარიღი : 20.03.2017

გაცნობის თარიღი : 20.03.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ილია ჭავჭავაძე , N 29-31-33 , (ნაკვეთი 04/022) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მიხეილი შამათავა პ/ნ 01031005656
- თბილისი ქობულეთის ქ. N 3/15

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის N57 დადგენილების და „ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს N8-13 გადაწყვეტილების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

- სამსახურს წერილობითი დასტურის გაცემის მოთხოვნით უნდა მომართოს მიწის ნაკვეთის მესაკუთრემ ან მოსარგებლემ, ან მათმა უფლებამოსილმა წარმომადგენელმა. შესაბამისად, წარმოსადგენია განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი ან შესაძლებელია უფლებამოსილი პირი დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად. ხოლო, თუ სამსახურს მომართავს მიწის ნაკვეთის მოსარგებლე, საჭიროა წარმოდგენილი იქნეს სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და საჭიროების შემთხვევაში მესაკუთრის თანხმობა, დამოწმებული სათანადო წესით.

ვინაიდან საპროექტო ტერიტორიაზე მდებარეობს მრავალწლიანი, წიწვოვანი ნარგავები, იმისათვის სამსახურმა, რომ იმსჯელოს აღნიშნულთან დაკავშირებით საჭიროა წარმოდგენილ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიის ადა გამწვანების საქალაქო სამსახურის პოზიცია განსახორციელებელ სამშენებლო სამუშოებთან დაკავშირებით. ამასთან გაითვალისწინეთ, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-55 დადგენილების თანახმად, დაინტერესებული პირის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას მინიმალური დაშორება მშენებარე შენობასა და არსებულ მწვანე ნარგავებს შორის შეადგენს 1 მეტრს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, წარმოდგენილ იქნას ტოპოგრაფიულ გეგმაზე დამუშავებული გენგეგმა სადაც დატანილ უნდა იქნას საპროექტო შენობიდან უახლოეს ხე/ნარგავამდე დაშორების მანძილი და იმ შემთხვევაში თუ ზემოაღნიშნული მანძილი 1 მეტრზე ნაკლებია, დამატებით უნდა წარმოადგინოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიის ადა გამწვანების საქალაქო სამსახურის თანხმობა.

ასევე შესაძლებელია შენობის მშენებლობისთვის გამოინახოს სხვა ადგილმდებარეობა.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.